


ქართული ჯაზი და ღვინო: ლიტერატურული პექციდიკოგრაფია

ვლადიმერ სტაროსელსკი

ქართლის ბუბარნიის შორავნიისა და ქართლის მეგრების ვაზის ჯიშები



ვლადიმერ სტაროსელსკი

ქუთაისის გუბერნიის
შორაპნისა და ქუთაისის
მაზრების ვაჭის ჯიშები

მეორე გამოცემა



თბილისი
2019

ვლადიმერ სტაროსელსკი

ქუთაისის გუბერნიის შორაპნისა და ქუთაისის მაზრების ვაზის ჯიშები
მეორე გამოცემა.

რედაქტორები: დ. მაღრაძე
ი. მდინარაძე
თ. მაღრაძე

ღვინის ეროვნული სააგენტოს გამოცემა.
თბილისი. 2019 წელი 68გვ.

წიგნი წარმოადგენს ცნობილი აგრონომის ვლადიმერ სტაროსელსკის მიერ 1893 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის „ქუთაისის გუბერნიის შორაპნისა და ქუთაისის მაზრების ვაზის ჯიშები“ მეორე გამოცემას ქართულ და რუსულ ენებზე. მასში მოცემულია 11 იმერული ჯიშის დახასიათება თანდართული ილუსტრაციებით. ეს არის საქართველოში გამოცემული პირველი ამპელოგრაფიული წიგნი, შესრულებული ევროპული გამოცემების დონეზე, რაც განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს მას ქართულ აგრონომიულ მემკვიდრეობაში. წიგნი განკუთვნილია მევენახეობა – მეღვინეობის საკითხებით დაინტერესებული მკითხველთა წრისათვის.


წიგნი გამოცემულია ღვინის ეროვნული სააგენტოს „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტის“ სერიული გამოცემის „ქართული ვაზი და ღვინო: ლიტერატურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში.

გამომცემლობა „პეტიტი“.

ISBN – 978-9941-9562-5-6

სარჩევი:

ვლადიმერ სტაროსელსკი: ბიოგრაფიული ცნობები	5
ვლადიმერ სტაროსელსკის ნაშრომების ბიბლიოგრაფია აგრონომიაში	15
ვლადიმერ სტაროსელსკის წიგნი „ქუთაისის გუბერნიის შორაპნისა და ქუთაისის მამრების ვაზის ტიშები“ დღევანდელი გადასახედიდან	17
ვლადიმერ სტაროსელსკი ქუთაისის გუბერნიის შორაპნისა და ქუთაისის მამრების ვაზის ტიშები	21
შესავალი.....	24
წინასიტყვაობა.....	26
ადანასური.....	29
შავი – კამური.....	34
თეთრი – კამური	37
ციცქა.....	40
კაპისტონი.....	44
რკო	47
ცოლიკაური	49
ოცხანური საფერე	53
არგვეთული საფერე	57
კრახუნა	61
კუნდა	65
კომენტარები	67
წიგნში გამოყენებული ზოგიერთი ძველი სიტყვის, ტოპონიმისა და ტერმინის განმარტება.....	68



ვლადიმერ შკლოვსკი

ვ. სატროსელსკის ძეგლი
საქარის საცდელი სადგურის ეზოში

ვლადიმერ სტაროსელსკი: ბიოგრაფიული ცნობები¹

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი დაიბადა 1860 წლის 3 (ძვ. სტ. 15) ნოემბერს (ენციკლოპედია, 1985) წელს რუსეთში, ჩერნიგოვის გუბერნიის ქ. ჩერნიგოვში, მოსამსახურის ოჯახში. ვლადიმერის მამა – ალექსანდრე, რომელსაც იმდროისათვის კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, დიდი ხნის მანძილზე კეთილსინდისიერად ასრულებდა სტავროპოლის მომრიგებელი მოსამართლის მოვალეობას.

ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ შეიცვალა ვლადიმერისა და მისი ოჯახის ცხოვრების პირობები. ოჯახის შენახვა, ავადმყოფი დედის მოვლა და პატარა ძმის – იულის – გაზრდა ახალგაზრდა ვლადიმერმა იკისრა. აღსანიშნავია, რომ იული, რომელმაც აგრძელებული განათლება უფროსი ძმის დახმარებით მიიღო, 900-იან წლებში ვლადიმერთან ჩამოვიდა საქართველოში და მოღვაწეობდა მაშინდელი გუბერნიის დაბა სურამში, როგორც აგრონომი და საფილოქსერო კომისიის წევრი².

გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1878 წელს ვ.ა. სტაროსელსკი მოსკოვის სასოფლო – სამეურნეო აკადემიაში ჩაირიცხა – ამჟამად კ. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო – სამეურნეო აკადემია. 1885 წელს (ენციკლოპედია, 1985, Энциклопедия, 1969) მან დაამთავრა სასწავლებელი, საიდანაც სამუშაოდ შავი ზღვის სანაპიროს ოლქში გაგზავნეს გადმოსახლებულთა დასახლების საქმეზე. იქ ახალგაზრდა ვლადიმერმა თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა და საქმის ერთგულმა მუშაკმა (სახეჩიძე, 1970).

1888 წელს ვლადიმერი დააწინაურეს და გადაიყვანეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აგრონომად ამიერკავკასიაში³.

1. ვლადიმერ სტაროსელსკის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები საკმაოდ მოიპოვება ქართულ თუ რუსულ (Энциклопедия, 1969, სახეჩიძე, 1970, ენციკლოპედია, 1985, ლომინაშვილი და გაფრინდაშვილი, 1990) ლიტერატურაში. მათ შორის ყველაზე ვრცელია პ. სახეჩიძის (1970) წიგნი „ქართული ვაზის დიდი მოამაგე“, რომელსაც ფართოდ ვეყრდნობით ამ ბიოგრაფიის შედგენისას, შევცადეთ რა ყურადღება გავვამახვილებინა მის აგრონომიულ საქმიანობაზე.
2. სავარაუდოდ, ი.ა. სტაროსელსკი, რომელიც მოხსენიებულია ვლადიმერ სტაროსელსკის ნაშრომში, უნდა იყოს მისი ძმა იული.
3. ამიერკავკასია – სამხრეთ კავკასიის რუსულენოვანი სახელწოდება მე-19-20 სს-ში.

არსებული ინფორმაციით (სახეჩიძე, 1970) ვლადიმერ სტაროსელსკიმ საქართველოში მუშაობის პირველ წლებშივე კარგად შეისწავლა ქართული ენა.

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა რუსეთის ვენახებში მავნებლის - ფილოქსერას (*Daktulosphaira vitifoliae* Fitch.) - გავრცელება, რამაც დიდი ზიანი მიაყენა საფრანგეთის ვენახებს და ევროპის სხვა ქვეყნებსაც მოედო. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ვენახებს გარდა ფილოქსერისა, უცხოეთიდან შემოტანილი დაავადებები: ნაცარი (*Uncinula necator* (Schweinitz) Burrill) და ჭრაქიჯ (*Plasmopara viticola*) (Berkeley & Curtis) Berlese & de Toni). გაუჩნდა. გარდა ევროპის ქვეყნებისა, ფილოქსერა გავრცელდა ავსტრალიაში, კალიფორნიაში, არგენტინაში, ჩილეში და ა.შ.

რუსეთის იმპერიაში ფილოქსერა პირველად 1880 წელს შეამჩნიეს, კერძოდ ყირიმში, ხოლო 1881 წელს ფილოქსერის კომიტეტის⁴ ექსპერტებმა მას აფხაზეთში - ვედენსკის მამულში - მიაკვლიეს. მაშინვე მიიღეს რადიკალური ზომები და ფილოქსერით დაავადებული კერები სწრაფად იქნა ლიკვიდირებული. 1884 წელს ფილოქსერა შემთხვევით აღმოაჩინეს თბილისში, ზუბალაშვილის სასტუმროს ბაღში, მაგრამ კერა სასწრაფოდ ჩააქრეს (რამიშვილი, 2001). იმავე წელს შეამჩნიეს ბაქოს გუბერნიის ქუთაისის მაზრის რამდენიმე ვენახშიც, სადაც მაშინვე აღმოფხვრეს.

1889 წელს ფილოქსერის პარტიამ ვ. გევესკის მეთაურობით ფილოქსერა აღმოაჩინა შორაპნის მაზრის სოფელ ალისუბანში (ამჟამად თერჯოლის რაიონი), ჩიკვაიძის მამულში, საიდანაც ის სწრაფად მოედო იმერეთის ვენახების დიდ ფართობს. შემოწმებით დადგინდა, რომ ალისუბანში 1872-1873 წლებში ევროპული ჯიშის ვაზი შემოუტანიათ ქუთაისიდან, ამიტომ მოეწყო ქუთაისის ვენახების გამოკვლევა. დადგინდა, რომ ქუთაისში ფილოქსერით თითქმის ყველა ნაკვეთი იყო დაავადებული. თავგამოდებულმა ცდამ მოესპოთ მავნებელი შედეგი არ გამოიღო, რადგან ფილოქსერა ამ დროისათვის მოდებული იყო არა მარტო ალისუბანსა და ქუთაისში, არამედ მთელს იმერეთში - სვირში, კვალითში, ოფჩაში, დიმში და სხვაგან. აღმოსავლეთ საქართველოში ფილოქსერა შედარებით გვიან გამოჩნდა ქართლში იგი 1893 წელს იპოვეს ცხინვალის მიდამოებში, ხოლო გარე კახეთში - 1906 წელს, სოფელ მარტყოფში, 1910 წელს კი - შიდა კახეთის სოფელ ლელიანში (სახეჩიძე, 1970).

4. კავკასიის ფილოქსერის კომიტეტი 1880 წელს დაარსდა კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სამმართველოსთან

ფილოქსერის მასობრივად გავრცელებამ და ვაზის სოკოვანმა დაავადებებმა გამოიწვია არა მარტო ყურძნის მოსავლისა და ღვინის წარმოების მკვეთრად დაცემა, არამედ ვენახების ნარგავების დაკნინება და გახშობა. ეს კი ეროვნულ კატასტროფას მოასწავებდა. 900-იანი წლებისათვის ვენახების ფართობი საქართველოში დაახლოებით 46 000 ჰექტარს შეადგენდა – თითქმის 30 000 ჰექტარით ნაკლებს 1870-80-იან წლებთან შედარებით (ჩარკვიანი, 1960). ვენახების ფართობების შემცირების შესაბამისად მცირდებოდა ღვინის წარმოება და უარესდებოდა ღვინის ხარისხი.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც ევროპაში პირველად შენიშნეს ფილოქსერა, მრავალი ცდა და შრომა მოანდომეს მის წინააღმდეგ ბრძოლას. სხვადასხვა გამოცდილ მეთოდს შორის გაამართლა ამერიკულ ვაზზე ადგილობრივი, ევროპული ვაზის მცნობამ, რომელიც ფრანგებმა 1879 წელს წარმატებით გამოიყენეს და ამის შემდეგ სხვა მევენახეობის ქვეყნებშიც დაინერგა.

ქართული ვაზის გადარჩენის მიზნით კავკასიის ფილოქსერის კომიტეტმა შეადგინა და იმერეთში გაამწესა ორი დასი. პირველ დასს ხელმძღვანელობდა აგრონომი ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი, ხოლო მეორეს – აგრონომი ვლადიმერ ალექსანდეს ძე სტაროსელსკი. ამის შემდეგ ვ. სტაროსელსკის სახელი მჭიდროდ უკავშირდება კავკასიაში ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებას.

ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა, ვლადიმერ სტაროსელსკისა და ივანე ანდრონიკაშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით, 1890 წლის 26 სექტემბერს ზესტაფონის მახლობლად – სოფელ საქარაში მოაწყო ამერიკული ვაზის სანერგე, რომელიც შემდგომში გადაიქცა ქართული ვაზის გადარჩენის მთავარ და ძირითად დასაყრდენ ცენტრად არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს სამხრეთ კავკასიაში. ამ დღიდან მოყოლებული, ვ. სტაროსელსკის ბიოგრაფია ორგანულად გახდა დაკავშირებული საქარის ამერიკული ვაზის სანერგის ისტორიასთან (ლომინაშვილი და გაფრინდაშვილი, 1990).

პირველად საქარაში გაიხსნა გოგირდნახშირბადის, ფილოქსერისა და ვენახის სხვა მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველი ხელსაწყოების ცენტრალური საწყობი, რომელიც ფილოქსერის გამომრკვევ ყველა პარტიას არა ამარტო ინსექტიციდებითა და აპარატურიტით ამარაგებდა, არამედ გასცემდა საჭირო რჩევას – დარიგებებსა და სამოქმედო ინსტრუქციებს.

1891 წლისათვის ამ საწყობს გადაეცა პატარა ნაკვეთი, დაახლოებით 220 კვ.მ, სადაც დარგეს ამერიკული ვაზის წიბპწიდან აღმოცენებული ნერგი. აქვე ააშენეს პატარა სახლი ლაბორატორიული სამუშაოებისათვის და საცხოვრებლად – ასე ჩაეყარა საფუძველი საქარის საცდელ სანერგეს.

თავდაპირველად საქარის საცდელ სადგურში ფილოქსერას წინააღმდეგ იყენებდნენ გოგირდ-ნახშირბადით ნიადაგის დამუშავებას. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სხვა ქვეყნებში, კერძოდ საფრანგეთში, წარმოებული ცდებით ვ. სტაროსელსკი დარწმუნდა ამერიკულ ვაზზე მცნობის მეთოდის უპირატესობაში. მან 1892 წელს მოითხოვა საქარის სანერგის გაზრდა 3 დესიატინამდე⁵. ამავე წელს სამინისტროს ნებართვითა და დაფინანსებით სანერგის ტერიტორიაზე ააგეს მეორე თანრიგის მეტეოროლოგიური სადგური, რომელმაც დიდი როლი ითამაშა სანერგის შემდგომ საქმიანობაში.

ამ დროისათვის აკრძალული იყო საზღვარგარეთიდან სარგავი მასალის შემოტანა, ამიტომაც სანერგე ამერიკულ ვაზს წიბპწით ამრავლებდნენ. მაგრამ ცდებითა და დაკვირვებებით დადგინდა, რომ წიბპწით აღმოცენებული ნერგები ადვილად ავადდებოდა სოკოვანი დაავადებით, ნაკლებად უძლებდა ფილოქსერას და ცხადია ვენახების აღსადგენად არ გამოდგებოდა. ამიტომ 1893 წელს სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ აღძრა შუამდგომლობა, რათა ნებართვა მიეღო ამერიკული ვაზის ერთწლიანი კალმის საფრანგეთიდან შემოეტანაზე. ეს საქმე ითავა ვ. სტაროსელსკიმ. მან იმოგზაურა საფრანგეთში, მოინახულა მევენახეობის ძირითადი რაიონები და აღტაცებული დარჩა იმ დიდი შრომით, რაც საფრანგეთის მევენახეებს განადგურებული ვენახების აღდგენისათვის გაუწევიათ.

ამავე წელს, ვ. სტაროსელსკის დაჟინებული მოთხოვნით, საქარის საცდელი სადგურისათვის საფრანგეთიდან შემოიტანეს საუკეთესო ხარისხის სხვადასხვა ჯიშის 3000 ლერწი. ამ ღონისძიების შედეგად 1893 წლიდან სანერგემ მიიღო სწორი მიმართულება. 1894 წელს მის საცდელ ნაკვეთებზე დარგეს ტიპური და ერთნაირი თვისების მცენარეები. ამ საქმეში ერთგვარი წარმატების შემდეგ სტაროსელსკიმ საცდელი ნაკვეთები მოაწყო ქუთაისის გუბერნიაში კერძო მესაკუთრეთა მიწებზე.

1894 წელს საქარის სანერგეში ნამყენი ვაზის წარმოების გადიდება და ამ გზით ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლა ცნობილი გახდა მთელი რუსეთის მასშტაბით. ამავე წლის ზაფხულში საქარის სანერგეს ეწვია

5. 1 დესიატინა = 1,09 ჰექტარი

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, რომელმაც მოიწონა მისი საქმიანობა (ლომინაშვილი და გაფრინდაშვილი, 1990). მან შეაქო საზოგადო საქმისადმი ვ. სტაროსელსკის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ამასთან აწონ-დაწონა მდგომარეობა და გააკეთა დასკვნა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა სანერგე გადაკეთებულიყო საცდელ სადგურად.

1895 წლიდან სამინისტროს უშუალო დახმარებით აიგო ახალი შენობები და შექმნილი იქნა საჭირო მანქანა-იარაღები. სანერგის ფართობი გაიზარდა 14 დესეტიანამდე.

1897-1901 წლებში ქუთაისის გუბერნიის – შორაპნის, ოზურგეთის, სენაკის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში, ასევე თბილისის გუბერნიის – გორისა და თბილისის მაზრებში მოეწყო საცდელი ნაკვეთები და სანერგეები. 1901 წლისათვის მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში 29 საცდელი ნაკვეთი იყო. ამ სანერგეების მუშაობას ხელმძღვანელობდა და კონტროლს უწევდნენ საქარის საცდელი სადგურის თანამშრომლები. საცდელი ნაკვეთების უმეტესობა იმდენად კარგი იყო, რომ სანერგის ხელმძღვანელობამ იგი გამოიყენა საჩვენებლად. ამით გლახობას აღუძრა ინტერესი შეეძინა ამერიკული ვაზის კალამი და ეწარმოებინა მცნობა საკუთარი საჭიროებისათვის. შედეგად, მაგალითად, 1898 წელს გაიცა 468.000 ნერგი, ხოლო მომდევნო წლებში კალამისა და ნერგის წარმოება საქარის საცდელ სადგურში გაიზარდა 800.000 ცალამდე. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა – მოთხოვნა მეტი იყო. 1897 წელს ვ. სტაროსელსკიმ კავკასიაში მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მთავარი სამმართველოს წინაშე დააყენა საკითხი ამერიკული ვაზის კალამის წარმოების გაფართოების შესახებ და მოითხოვა დასავლეთ საქართველოში ახალი სანერგის მოწყობისათვის მიწის ფართობის გამოყოფა. მთავარმა სამმართველომ დააკმაყოფილა მისი თხოვნა და 1897 წლის ბოლოს სადგურ საჯავახოს ახლოს სოფელ ქორეისუბანში (ახლანდელი სამტრედიის რაიონი) გამოუყო მიწის ნაკვეთი, სადაც 3 წლის მანძილზე 42 დესეტიანამდე გაშენდა, და რომელიც წელიწადში 3 მლნ გრძივ მეტრ საძირე მასალას აწარმოებდა.

დღის წესრიგში დადგა მცნობის წესების შესწავლა და 1897 წელს სკრაში გაიხსნა მცნობის შემსწავლელი კურსები, რომელიც მალევე გახდა პოპულარული – ამავე წელს 400 კაცმა გაიარა (ლომინაშვილი და გაფრინდაშვილი, 1990). მცნობასთან ერთად ასწავლიდნენ ამერიკული

ვაზის თვისებებს, ვაზის დარგვას, მის გასხვლა-ფორმირების წესს, დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს და ა.შ. მომდევნო წელს მსგავსი კურსები კიდევ 6 სოფელს მიემატა.

საქარის სანერგესთან გახსნილმა მოკლევადიანმა კურსებმა მართალია უზრუნველყო უშუალოდ მცნობაზე მომუშავეების მომზადება, მაგრამ საქმის შემდგომი წარმატებით გარძელებისათვის საჭირო იყო უფრო მომზადებული ახალგაზრდობა. ამიტომ 1898 წელს ვ. სტაროსელსკი სპეციალურად მიემგზავრება პეტერბურგში მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში, სანერგესთან ერთწლიანი სკოლის გახსნის მოსაგვარებლად. აქ მოიწონეს მისი წინადადება და იმავე წელს მინისტრის ბრძანებით საქარაში დაარსდა ერთწლიანი მუშა-პრაქტიკოსების სკოლა. ამ სკოლამ, რომელიც 1913 წელს გადაკეთდა მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკულ უმდაბლეს სკოლად - დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. სასწავლებელმა თავისი არსებობის მანძილზე 132 კაცი მოამზადა.

1897 წელს საქარის სანერგეში პირველად დარგეს ნამყენი ევროპული ვაზი, აქ 1898 წლისათვის დამყენი იყო 51 ჯიში, აქედან ადგილობრივი - 11, ხოლო დანარჩენი - ფრანგული.

უნდა აღინიშნოს, რომ სანერგის საქმიანობა მარტო ზემოთ აღნიშნულით არ ამოიწურებოდა. მის ლაბორატორიებში კეთდებოდა ნიადაგის ქიმიური ანალიზი და სწავლობდნენ მექანიკურ შემადგენლობას, რის საფუძველზეც შეადგინეს ქუთაისის გუბერნიისა და კახეთის მევენახეობის ზოლის ნიადაგის სქემატური რუკა, დაადგინეს სხვადასხვა ჯიშის ყურძნის დამწიფებისა და კრეფის ვადები, ღვინის დუღილის გაუმჯობესების ხერხები და სხვა. აკვირდებოდნენ ფილოქსერის ბიოლოგიას. შეისწავლეს ვაზის ძირითადი დაავადებანი და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები. აღწერეს ქუთაისის გუბერნიაში გაშენებული ადგილობრივი ვაზის მნიშვნელოვანი ჯიშები, შეიმუშავეს ვაზის მცნობის წესები და დარგვის ვადები. სანერგეს ჰქონდა ადგილობრივი ფლორის ჰერბარიუმი და მათი ფოტოები; ქუთაისის გუბერნიის ნიადაგების და მთის წიაღისეულის მდიდარი კოლექციები; ვაზისა და სხვა კულტურების სოკოვან და სხვა დაავადებათა და სოფლის მეურნეობის მავნებელ მწერთა კოლექციები; ამერიკული და ევროპული ვაზის ჯიშების ფოტოალბომები, ვაზისა და ხეხილის გასხვლა - ფორმირების ფოტოსურათები და სხვა (ლომინაშვილი და გაფრინდაშვილი, 1990).

სანერგეს ეკუთვნოდა საცდელი ნაკვეთების ქსელი ქუთაისის გუბერნიის 41 სოფელში, რომლებიც აწარმოებდნენ დაკვირვებას ამერიკული ვაზის შეგუებაზე ადგილობრივ პირობებში.

საქარის სანერგემ ხელი შეუწყო წვრილგლეხური სანერგეების ჩამოყალიბებას. 1899-1900 წლებში ქუთაისის გუბერნიაში წარმოიშვა წვრილგლეხური მეურნეობები, რომლებიც ვაზის მცნობას აწარმოებდნენ არა მარტო საკუთარი საჭიროებისათვის, არამედ გასაყიდად. ასეთი სანერგეები მარტო საქარის სანერგის ახლოს 20 იყო. ასეთ სანერგეებს საკუთარ მეურნეობებში აწარმოებდნენ პირველ რიგში ის ახალგაზრდები, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ სკოლა.

ამ ღონისძიებების შედეგად 900-ან წლებში ამერიკულ საძირეზე დამყნული ნერგით ახალი ვენახები უკვე გაშენებულ იყო ქუთაისის მაზრის 52 სოფელში, შორაპნის მაზრის 79 სოფელში და აგრეთვე სენაკის, ზუგდიდის, რაჭის, ლეჩხუმის და ოზურგეთის მაზრების ბევრ სოფლებში.

საქარის სანერგის და პირველ რიგში მისი ხელმძღვანელის ვ. სტაროხელსკის ესოდენი დიდი შრომის შედეგად ამ სანერგის არსებობის უკანასკნელი 5-8 წლის მანძილზე ქუთაისის გუბერნიაში ახალი წესით ვენახი გაშენებული იქნა 17000 დესეტინაზე. აქედან დიდი ნაწილი ამერიკული ვაზის ნერგით იყო გაშენებული.

ამ დროისათვის ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით კი ქუთაისისა და შორაპნის მაზრაში აღარ არის ლაპარაკი ღვინის ნაკლებობაზე, რომელიც მკვეთრად შეინიშნებოდა წინა წლებში. პირიქით, ცალკეული პირები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ერთობ შემფოთებულნი არიან ღვინის ბაზარზე გასაღების საკითხით. ეს კი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, ვენახების აღდგენის საქმე ფართო გზაზეა გამოსული. ამ საქმეში ცხადია, დიდი როლი და დამსახურება საქარის სანერგეს მიეკუთვნება.

საქარის სახელმწიფო სანერგის და პირველ რიგში ვ. სტაროხელსკის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ ქუთაისის გუბერნიაში აღდგენილი ვენახების ფართობი პირველი მსოფლიო ომის წინ დაახლოებით 13800 დესეტინას შეადგენდა. ეს მაშინ, როცა 1870-80 წლებში სულ 21000 დესეტინამდე დაბლარი ვენახი იყო. ფილოქსერის გავრცე-

ლებამდე დაბალი ვენახების ფართობის ნახევარზე მეტი 20-25 წლის მანძილზე ხელახლა იქნა გაშენებული და აღდგენილი.

ვინაიდან სანერგე დასცდა თავის ამოცანებს, მიწათმოქმედების დეპარტამენტმა, რომელიც დეტალურად გაეცნო მის საქმიანობას, გადაწყვიტა სანერგე გადაეკეთებინა მევენახეობა – მეღვინეობის სახდელ სადგურად. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა სახელმწიფო ქონებათა და მიწათმოქმედების სამინისტრომ და 1901 წლიდან ოფიციალურად ეწოდა საქარის საცდელი სადგური.

1905 წლის 9 ივლისს, რუსეთის პირველი რევოლუციის დღეებში, ვ. სტაროსელსკი დაინიშნა ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლად კავკასიის მთავარმართებლის ვორონცოვ-დაშკოვის წარდგინებით, როგორც დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება ვლენებს შორის (სახეჩიძე, 1970). ვ. სტაროსელსკის მიერ წარდგენილი მოხსენებითი ბარათი ქუთაისის გუბერნიაში აგარული რეფორმის აუცილებლობის შესახებ იმდენად მოფიქრებულად იყო შედგენილი, რომ ვორონცოვმა საჭიროდ ჩათვალა გადააეგზავნა მეფისადმი თხოვნით, რომ ყურადღების მოჰკიდებოდა მას.

ვ. სტაროსელსკი გუბერნატორის პოსტზე ყოფნისას ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ადგილობრივ მოსახლეობას და რევოლუციურ მოძრაობას (Энциклопедия, 1969, ენციკლოპედია, 1985). პ. სახეჩიძის (1970) მიხედვით საქმისადმი და ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო ვლადიმერ სტაროსელსკი ქუთაისის მაშინდელ გუბერნიაში დიდი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა.

1906 წლის იანვარში ვ. სტაროსელსკი გაანთავისუფლეს გუბერნატორის თანამდებობიდან და გაასახლეს ყუბანში (Энциклопедия, 1969).

ვ. სტაროსელსკი იყო რევოლუციური მოძრაობის მონაწილე რუსეთშიც. პარტიულ მუშაობას ეწეოდა ჩრდილოეთ კავკასიაში: იყო რსდმპ⁶ ყუბანის საოლქო კომიტეტის მდივანი; შემდეგ რსდმპ ჩრდილოეთ კავკასიის კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე; რსდმპ IV კონფერენციის დელაგატი; რსდმპ-ს წევრი 1907 წლიდან, ბოლშევიკი.

1908 წელს ვ. სტაროსელსკი ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. ცხოვრობდა პარიზში და ცხოვრების სახსარს შოულობდა ფოტოგრაფიით (Энциклопедия, 1969, ენციკლოპედია, 1985).

6. რსდმპ – რუსეთის სოციალისტურ – დემოკრატიული მუშათა პარტია

ვლადიმერ სტაროსელსკი 1916 წლის 26 აგვისტოს გარდაიცვალა პარიზში 55 წლის ასაკში. დაკრძალულია პარიზის პერ-ლაშეზის სასაფლაოზე (Энциклопедия, 1969).

ვ. სტაროსელსკის პირველ ცოლთან ჰყავდა ოთხი ქალიშვილი: ელენე, თამარი, მარია და ადა.

ვ. სტაროსელსკის გარდაცვალების შემდეგ მისი მეორე მეუღლე ვალენტინა სტაროსელსკაია ჩამოვიდა საქართველოში საფრანგეთიდან და თან ჩამოიყვანა ორი ვაჟი ვლადიმერი და იული.

ვ. სტაროსელსკის გამოქვეყნებული აქვს შრომები მევენახეობის, საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორიისა და სხვა საკითხებზე (Энциклопедия, 1969, ენციკლოპედია, 1985).

პ. სახენიძეს (1970) მოჰყავს ცნობილი აგრონომი ერმილე ნაკაშიძის მიერ 1923 წელს გაზეთ „მიწის მუშაში“ დაბეჭდილი წერილი, სადაც ის წერს: „სამართლიანობა მოითხოვს პატივი ვცეთ ვ. სტაროსელსკის ხსოვნას. დაუდგათ ძეგლი საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურში და დავაარსოთ მისი სტიპენდია“. მართლაც – საქარის საცდელ სადგურს მიენიჭა ვ. სტაროსელსკის სახელი და მის ეზოში დაიდგა ვ. სტაროსელსკის ძეგლი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ლომინაშვილი რ., გაფრინდაშვილი გ. 1990. საქარის ვ. ა. სტაროსელსკის სახელობის საცდელი სადგური მისი დაარსების 100 წლისთავზე. მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი. გვ. 3-40.

რამიშვილი რ. 2001. ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია (ისტორიულ – არქეოლოგიური და ამპელოგრაფიული გამოკვლევა). თბილისი. 240 გვ.

სახენიძე პ. 1970. ქართული ვაზის დიდი მოამაგე [ვ.ა. სტაროსელსკი]. თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 114 გვ.

- სტაროსელსკი ვ. ა. 1985. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 9. თბილისი. საქ. სსრ ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო რედაქცია. გვ. 550.
- ჩარკვიანი კ. 1960. მეღვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში. თბილისი. 245 გვ.
- Старосельский Владимир Александрович. 1969. Большая советская Энциклопедия: [в 30 т.] / под. ред. А. М. Прохоров - 3-е изд. - М.: Советская энциклопедия. 1969.v

ვლადიმერ სტაროსელსკის ნაშრომების ბიბლიოგრაფია აგრონომიაში

- სტაროსელსკი ვ.ა. 1897. მოკლე დარიგება ამერიკული ვაზის გაშენების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში / შედგენილი ვ. ა. სტაროსელსკის მიერ; თარგმანი თავ. ი.ზ. ანდრონიკაშვილისა. კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის გამომცემლობა. თბილისი. კ.პ. კოზლოვსკის ტიპოგრაფია. 24გვ.
- სტაროსელსკი ვ.ა. 1898. მოკლე დარიგება ამერიკული ვაზის გაშენების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში / შედგენილი ვ. ა. სტაროსელსკის მიერ; თარგმანი თავ. ი.ზ. ანდრონიკაშვილისა. მეორე გამოცემა. კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის გამომცემლობა. თბილისი. კ.პ. კოზლოვსკის ტიპოგრაფია. 24გვ.
- სტაროსელსკი ვ.ა. 1900. მოკლე დარიგება ამერიკული ვაზის გაშენების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში / შედგენილი ვ. ა. სტაროსელსკის მიერ; თარგმანი ი.ზ. ანდრონიკაშვილისა. მესამე დამატებული გამოცემა. კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის გამომცემლობა. თბილისი. კ.პ. კოზლოვსკის ტიპოგრაფია. 24გვ.
- სტაროსელსკი ვ. ა. 1901. სიტყვა თქმული ვ.ა. სტაროსელსკის მიერ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებაზე. ივერია. თბილისი. 17 ოქტ. #225. გვ. 2-3.
- სტაროსელსკი ვ. 1904. კატალოგი სახაზინო ამერიკანული საშენი ვაზებისა კავკასიაში 1904-1905 წლებისათვის. თბილისი. კ.პ. კოზლოვსკის ტიპოგრაფია. 9გვ.
- სტაროსელსკი ვ. 1904. პასუხი დ.გ. მდივნის წერილზე ქუთაისის გუბერნიაში ამერიკული ვაზის შეჩვევისა და ვენახების გახმობის შესახებ (წერილი რედაქციის მიმართ). „ცნობის ფურცელი“: ყოველდღიური გაზეთი. თბილისი. 10 მარტი. #2434. გვ.4.

- Старосельский В. А. 1892. Материали для ампелографии Кавказа. Выпуск 1. Закавказские сорта винограда. Шорапанский и Кутаисский уезды Кутаисской губернии. Издание Кавказского Филоксерного Комитета. Тифлиς. Типография К.П. Козловского. 24с.
- Старосельский В. А. 1897. Краткое наставление по культуре американских лоз в Кутаисской губернии. Издание Кавказского Филоксерного комитета. Типография К.П. Козловского. 26с.
- Старосельский В. А. 1900. Краткое наставление по культуре американских лоз в Кутаисской губернии. Издание Кавказского Филоксерного комитета. 2-е, пополненное издание. Типография К.П. Козловского. 28с.

ვლადიმერ სტაროსელსკის ნიგნი „ქუთაისის გუბერნიის შორაპნისა და ქუთაისის მაზრების ვაზის ჯიშები“ დღევანდელი გადასახედიდან

2020 წელს 160 წელი შესრულდება ერთ – ერთი გამორჩეული აგრონომისა და თავისი დროის ცნობილი პიროვნების ვლადიმერ სტაროსელსკის დაბადებიდან, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სოფლის მეურნეობის – კერძოდ, კი მევენახეობისა და მეღვინეობის – ისტორიაში. სწორედ ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ მისი წიგნის „ქუთაისის გუბერნიის შორაპნისა და ქუთაისის მაზრების ვაზის ჯიშები“ ახალ გამოცემას.

ს. სტაროსელსკის აგრონომიული კარიერა მევენახეობის გარდამტეხ ეტაპს დაემთხვა, როდესაც ევროპულ ვაზს *Vitis vinifera* L. უდიდესი საშიშროება დაემუქრა ამერიკული წარმოშობის სოკოვანი დაავადებების (ჭრაქი და ნაცარი) და მავნებელი მწერი ფილოქსერასაგან, რამაც დრამატულად შეამცირა ვაზის ნარგაობა ევროპაში – მათ შორის საქართველოში – და საჭირო გახდა მევენახეობის გაძლოლის სისტემის ძირფესვიანი გარდაქმნა, რაც გულისხმობდა მცენარეთა დაცვითი ღონისძიებების სისტემატურ დანერგვას ვენახებში; ახალი რგოლის – მცნობის და სანამყენე მეურნეობის – ჩართვას ვაზის გამრავლებაში; საძირე ჯიშების გამოყვანას ვაზის ამერიკული სახეობების ბაზაზე; არსებული ჯიშური სორტიმენტისადმი ყურადღების გამახვილებას და ვაზის გენოფონდის დაცვის გააქტიურებას; ვენახის გაშენების სქემების შეცვლას; და ასე შემდეგ.

ევროპელ მეცნიერთა მცდელობამ – ახალ რეალობაში მყარი საფუძველი შეექმნათ მევენახეობის განვითარებისათვის – ძალიან მალე დადებითი შედეგები გამოიღო, რომელთაც შორისაც უდაოდ გამოკვეთილი ადგილი დაიჭირა ამერიკულ საძირეზე ევროპული ხარისხოვანი ვაზის ჯიშების მცნობამ და სანერგე მეურნეობის განვითარებამ. და ამ საქმის ხელმძღვანელად საქართველოში, კერძოდ კი დასავლეთ საქართველოში (მაშინდელი ქუთაისის გუბერნია), ვლადიმერ სტაროსელსკი გვევლინება, რომელმაც საქარის საცდელ სადგურში დაარსა პირველი ამერიკული ვაზის სანერგე და დაიწყო ნამყენი ნერგის წარმოება.

მიუხედავად წარმატებებისა, ევროპული მევენახეობა – ქართული მევენახეობა მათ შორის – ვერ გადაურჩა ერთ მნიშვნელოვან დანაკარგს: ეს იყო ევროპული ვაზის გენოფონდის ჯიშობრივი გაღარიბება, გამოწვეული სოკოვანი დაავადებებისა და ფილოქსერას ერთობლივი შემოტევის შედეგად. ბევრმა – განსაკუთრებით დაავადებების მიმართ მგრძობიარე ჯიშმა – ვერ გაუძლო შემოტევას და სამუდამოდ გაქრა.

მიხვდნენ რა ამ საშიშროებას, ევროპელმა მევენახეებმა გააქტიურეს ჯერ კიდევ ადრე ცნობილი მეთოდი ვაზის ჯიშების აღწერისა და საკოლექციო დაცვისა, რომელიც მე-19 საუკუნის რეალობაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა. შედეგად, გაჩნდა ბევრი ახალი საკოლექციო ნარგაობა, გაიზარდა მათში დაცული და აღწერილი ვაზის ჯიშების რაოდენობა. ამან კი გამოიწვია ამპელოგრაფიული კვლევის მეთოდების დახვეწა და განვითარება, აღწერის შესაბამისი სტადარტების დამკვიდრება.

შემოთქმული რეალობა საქართველოშიც მალე დადგა. იმავე მე-19 საუკუნის ბოლოსათვის საქართველოშიც დაიწვეს ჯიშებმა გაქრობა – ზოგიერთი წარსულ დროში მოისვენებოდა უკვე. გაჩნდა წუხილი დანაკარგისა და შიში ღვინოების გაღარებებისა (ჯავახიშვილი, 1934). მაგრამ მსგავსად ევროპული მევენახეობისა იწყება ევროპული ღონისძიებების გატარება საქართველოშიც. და მათ შორის: კავკასიის ფილოქსერას კომიტეტის იწყებს შნარის მევენახეობა – მეღვინეობის აღწერას; 1890 წელს საქარის ამერიკული ვაზის სანერგე აშენებს 12 იმერული ვაზის ჯიშის კოლექცია; და 1893 წელს ვ. სტაროსელსკის ავტორობით იბეჭდება პირველი კლასიკური დასურათებული ამპელოგრაფია სათაურით „ქუთაისის გუბერნიის შორაპნისა და ქუთაისის მაზრების ვაზის ჯიშები“.

ვ. სტაროსელსკის ნაშრომის უპირველესი მნიშვნელობა ისაა, რომ ის ამ ჟანრის პირველი წიგნია საქართველოში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აღნიშნული მიმართულების განვითარებას ჩვენში და შექმნა მნიშვნელოვანი მემკვიდრება 21-ე საუკუნის ამპელოგრაფიების ჩათვლით.

შემდეგ უნდა აღინიშნოს მისი შესაბამისობა მაშინდელ ევროპულ ამპელოგრაფიებთან, რომელთაც ის თამამად უტოლდება მასალის გადმოცემის სიძლიდრით და სტილით, ამპელოგრაფიული ტერმინოლოგიით, ვიზუალური მასალის არსებობით.

უდაოდ საინტერესოა ინფორმაცია უშუალოდ ჯიშების ისტორიისა და მათი პროდუქციის შესახებ:

„კრახუნა შემოტანილი იქნა კულტურაში კახეთიდან 25 წლის წინ, ქუთაისის მაზრის სოფ. სვირის ერთ-ერთი გლეხის მიერ“; „კამური თეთრი ძალიან ფასობს ... შორაპნის ... მაზრაშიც“ (და ეს მაშინ, რომ ეს ჯიში აღარავის მოჰყავს ახლა ამ მხარეში); „არგვეთული საფერე ცნობილია **შავას** ან **კობახიძის** საფერის სახელითაც, არცთუ დიდხანია რაც გავრცელდა შორაპნის მაზრის სოფელ არგვეთაში, თუმცა მისი წარმოშობის ისტორია უცნობია“ და ა.შ.

ადანასურის „ღვინო მომჟავოა, კარგად შენახვადი, სასიამოვნო გემოთი და სურნელით, ვარდისფერი“; კამური შავი „იძლევა მაგარ ღვინოს საშუალო ღირსების მქონეს“; „ციცქა იძლევა მაგარ, საუკეთესო ხარისხის თეთრ ღვინოს“; ოცხანური საფერე „ადგილობრივი წარმოშობისაა, უხვმოსავლიანი. ღვინო ცუდი დგება, მაგრამ მისი ჭაჭა ფართოდ გამოიყენება სხვა ჯიშის ღვინოების შესაღებად და ფასობს ძვირად, ვინაიდან სძენს მათ სასიამოვნო ბუკეტს“ და ა.შ.

ვ. სტაროსელსკის წიგნი აღნიშნული აქვს ივ. ჯავახიშვილს (1934), რომელიც მას მოიხსენიებს როგორც „პირველ ამპელოგრაფიულ ნაშრომს“ და ამბობდს, რომ „ამ საუცხოვო წიგნში იმერეთის 12 ყურძნის ჯიშის (ადანასური პატარა და დიდი, კამური შავი და თეთრი, ციცქა, კაპისტონი, რკო, ცოლიკაური, ოცხანური საფერე, არგვეთული საფერე, კრახუნა და კუნძა) სრული ამპელოგრაფიული აღწერილობა და მშვენივრად შესრულებული მათი ნახატებიც არის მოთავსებული“. იქვე ივ. ჯავახიშვილი (1934) აღნიშნავს, რომ „ამ ნაშრომის ნაკლს მხოლოდ ის გარემოება შეადგენს, რომ მის ავტორს არც ერთი მანამდე გამოქვეყნებული წყარო არც დასახელებული და არც გამოყენებული არ აქვს“.

ვ. სტაროსელსკის ნაშრომს მნიშვნელობას ანიჭებდნენ შემდეგი დროის მევენახეებიც. მაგალითისთვის მოგვყავს დ. ტაბიძის „მევენახეობის განვითარება საქართველოში“ (1950) და ნ. კეცხოველის, მ. რამიშვილისა და დ. ტაბიძის „საქართველოს ამპელოგრაფია“ (1960), სადაც ვხვდებით ვ. სტაროსელსკის აღნიშნული წიგნის ციტირებას ამ ავტორიტეტული მეცნიერების მიერ.

„ქუთაისის გუბერნიის შორაპნისა და ქუთაისის მაზრების ვაზის ჯიშები“ ახალი გამოცემისათვის მომზადების დროს გადაწყდა, რომ ის

გადმოღებული ყოფილიყო ძველი რუსული ენიდან ახალ რუსულ ენაზე და თარგმნილიყო ქართულად (თარგმანი შეასრულა ბ. მაღრაძემ). ამასთანავე, ამ გამოცემაში ორივე ეს ენა იქნა გამოყენებული, რათა გაზრდილიყო მისი პოტენციური მოხმარების გეოგრაფია ქართველი და რუსულენოვანი მკითხველებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კეცხოველი ნ., რამიშვილი მ., ტაბიძე დ. 1960. საქართველოს ამპელოგრაფია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 439 გვ.
- ტაბიძე დ. 1950. მევენახეობის განვითარება საქართველოში. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“. თბილისი. 84 გვ.
- ჯავახიშვილი ივ. 1934. მევენახეობა. წიგნში: საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი II. (გამოყენებულია: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი. 5. თბილისი. 1986. გვ. 301-618)

ვლადიმერ სტაროსელსკი

ქუთაისის გუბერნიის
შორაპნისა და ქუთაისის
მაზრების ვაჭის ჯიშები

მასალები კავკასიის ამპელოგრაფიისათვის

გამოცემა I

ამიერკავკასიის ვაზის ჯიშები

ქუთაისის გუბერნიის
შორაპნისა და ქუთაისის მაზრები

შეადგინა ვ. ა. სტაროსელსკიმ

კავკასიის სახელმწიფო ქონების
სამინისტროს აგრონომმა

კავკასიის ფილოქსერას კომიტეტის გამოცემა

ტიფლისი, 1893

კ. პ. კოზლოვსკის ტიპოგრაფია.
გოლოვინის პროსპექტი #12

Материалы для ампелографии Кавказа

Выпуск I

Закавказские сорта винограда

Шорапанский и Кутаисский Уезды
Кутаисской губерний

Составил В. А. Старосельский

Агроном Министерства
Государственных Имуществ на Кавказе

Издание Кавказского Филоксерного Комитета

Тифлис, 1893

Типография К.П. Козловского.
Головинский проспект № 12

კავკასიაში რკინიგზის გაყვანის და სხვა სატრანსპორტო გზების თანდათანობით გაუმჯობესების შემდეგ კავკასიურმა ღვინოებმა დაიწყეს ბაზრების მყარად ათვისება მხარის მიღმა. აღნიშნულს დიდად შეუწყო ხელი მსხვილი ღვინით მოვაჭრეებისა და მომხმარებლებისათვის კავკასიური ღვინოების ღირსებების გაცნობამ მოსკოვის, ოდესის, პარიზისა და სხვა დიდი ქალაქების გამოფენებზე. ღვინოებზე მოთხოვნილების და ფასის ზრდასთან ერთად გაიზარდა ვენახების შემოსავალიც, და ამასთან ერთად, მოხდა ვენახის ფართობების ზრდაც მხარის ბევრ რაიონშიც.

მაღალი შემოსავალი, რომელიც მოაქვს მევენახეობას მხარის ზოგიერთ რაიონში, სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია ვაზის ჯიშების სწორი შერჩევითაც. აქედან გამომდინარე, ბევრი ადგილობრივი ჯიში იმსახურებს მებაღეების ყურადღებას თავიანთი ხარისხის გამო. ამის გარდა, კავკასიის ზოგიერთი რაიონისათვის, კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე, ადგილობრივ ჯიშებს დიდი მნიშვნელობა იმიტომაც ენიჭებათ,

С проведением на Кавказе железных дорог и постепенным улучшением других путей сообщения, кавказские вина начали находить себе прочные рынки вне пределов края. Этому весьма много содействовало также ознакомление крупных винооторговцев и потребителей с достоинством кавказских вин на выставках в Москве, в Одессе, в Париже и в других городах. С увеличением спроса и цен на вина поднялась доходность виноградников, а вместе с тем во многих районах края заметно стала увеличиваться и площадь их.

Высокая доходность, приносимая виноградарством в некоторых частях края, в числе других причин, в значительной степени обуславливается соответственным выбором сортов винограда, и в этом отношении многие из местных сортов заслуживают полного внимания соводоводов по своим качествам. Кроме того, для некоторых районов Кавказа, в особенности отличающихся своеобразными климатическими условиями, местные сорта

რომ ისინი აქ უკვე მრავალსაუკუნოვანი კულტურის მიერ არიან გამოცდლი.

ბევრი ორიგინალური და ძვირფასი ჯიში არსებობს ამიერკავკასიის თითქმის ყველა მევენახეობის რაიონში და ნაწილობრივ ჩრდილო კავკასიაშიც, რომლებიც გამოყენებული არიან როგორც ღვინის დასამზადებლად, ასევე სასუფრედ. მათ შორის ზოგიერთმა, როგორცაა, მაგალითად კახური ჯიში საფერავი, რეგიონს მიღმაც გაითქვა სახელი. სამწუხაროდ, კავკასიური ვაზის ჯიშებისათვის დღემდე არაა შედგენილი დაწვრილებითი სამეცნიერო აღწერილობა. მეტიც – ცალკეული მევენახეობის რაიონების მიხედვით ჯერ კიდევ უცნობია ყველა ჯიში და დაუდგენელია მათი ზუსტი და ერთგვაროვანი ნომენკლატურაც.

წინამდებარე გამოცემა განხორციელებულია კავკასიის ფილოქსერის კომიტეტის მიერ მევენახეობისა და მეღვინეობის ლიტერატურაში ზემოთაღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით. ამ გამოცემამ, რომელიც პერიოდულად გამოვა ხოლმე ცალკეული გამოცემების სახით, უნდა მოიცვას მხარის ძირითადი მევენახეობის რაიონების ვაზის ჯიშების აღწერილობა.

имеют большое значение ещё и потому, что они уже испытаны вековой культурой.

Много оригинальных и ценных сортов винограда, как идущих на приготовление вина, так и столовых, имеется почти в каждом винодельческом районе Закавказья, отчасти и на Северном Кавказе. Некоторые из этих сортов получили уже известность далеко за пределами края, как, напр., кахетинский сорт саперави. – Кавказским сортам винограда до сего времени не составлено, однако, подробного научного описания; даже не приведены еще в известность все имеющиеся в отдельных винодельческих районах края сорта и не устоявлена точная и однообразная их номенклатура.

Настоящее издание принято Кавказским Филоксерным комитетом с целью пополнит указанный пробел в нашей литературе по винограду и виноделию. Издание это будет выходит отдельными выпусками и должно обнять описание местных сортов винограда в главнейших винодельческих районах края.

წინასიტყვაობა

ეჭვგარეშეა, რომ მეღვინეობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკურ ცხოვრებაში. თუმცაღა არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ სფეროში ჩვენ არ გავგაჩნია არათუ რაიმე სოლიდური კვლევითი ნაშრომი, არამედ ელემენტარული ცნობარიც კი საღვინე ვაზის ჯიშების იმ დიდ მრავალფეროვნებაზე, რომელიც ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებში არიან კულტივირებული. ამავდროულად, ამიერკავკასია ითვლება ვაზის სამშობლოდ და გააჩნია უდიდესი ასორტიმენტი, რომელთა გაცნობაც ჩვენ მევენახეებს საშუალებას მისცემდა წარმოებიდან განედევნათ ნაკლებგამოსადეგი დაბალხარისხოვანი ჯიშები და ჩაენაცვლებინათ ისინი სხვა რეგიონებიდან შემოტანილი უკეთესი ჯიშებით, დაეხვეწათ არსებული საუკეთესო მასალა, მოეძიათ ოპტიმალური ჯიშები იმ რეგიონებისათვის, სადაც მევენახეობა ამჟამად იწყებს აღორძინებას. გარდა ამისა, ჩვენი მევენახეობა ახლა განიცდის მძიმე კრიზისს. ზოგიერთ რაიონ

Предисловие

Не подлежит сомнению, что виноделие играет важную, выдающуюся роль в сельскохозяйственной - экономической жизни Закавказья; однако, мы не ошибемся, если скажем, что в этой области у нас нет ни одного солидного исследования, или даже элементарных сведений о многочисленных винных сортах винограда, культивируемых в различных местностях Закавказья. Между тем Закавказье считается родиной виноградной лозы и обладает громадным ассортиментом, знакомство с которым дало - бы возможность нашим виноградарям изгнать из культуры худшие, мало пригодные сорта и заменить их лучшими, позаимствованными из других районов, заняться усовершенствованием лучшего матерьяла, найти наиболее пригодные сорта лоз для тех местностей, где виноградарство возникает вновь. Кроме того, виноградарство наше переживает тяжелый кризис. Местами, как, например, в Мингрелии и Гурии, криптогамические болезни уже

ნებში, როგორცაა, სამეგრელო და გურია, კრიპტოგამიულმა დაავადებებმა უკვე გაანადგურეს საუკეთესო და უწინ ცნობილი ვაზის ჯიშები და დღეს მათზე მხოლოდ მოგონებებიაა შემორჩენილი. ეჭვგარეშეა, ასეთივე საშიშროება ემუქრებათ სხვა ჯიშებსაც მაშინ, როცა ამერიკული ჯიშების გამოყენება დაიწყება საძირედ ჩვენი ევროპული ვაზისათვის. ჩვენი ასორტიმენტის ასეთი დეტალური გაცნობა იმ დროს საშუალებას მოგვცემს, რომ არსებული მასალიდან გავაკეთოთ უფრო მიზნობრივი არჩევანი მცნობისათვის და ქვეყნისათვის შევინარჩუნოთ ღვინის მწარმოებელი უკეთესი ჯიშები.

ყველა ამ პრაქტიკულმა მოსაზრებამ და სუფთა სამეცნიერო ინტერესმა გადაგვანწყვეტინეს შესაძლებლობის ფარგლებში შეგვესწავლა ამიერკავკასიის ვაზის ჯიშები. მაგრამ ეს დავალება არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა. ჩვენ მოგვიწია ერთი და იგივე რაიონში, ერთი და იგივე ჯიშების დასახელებაში შექმნილ უკიდვგანო ქაოსში გარკვევამ; შევისწავლეთ როგორც ადგილობრივი ტოპოგრაფიული და ნიადაგის თავისებურებებით გამოწვეული შემთხვევითი გადახრები, ასევე კრიპტოგამიული დაავადებების

погубили лучшие и недовно еще известные сорта виноградных лоз, о которых теперь сохранились лишь воспоминания, и нет сомнения, что такая - же участь постигнет большинство наших сортов, когда американские виды будут служить подвоями для нашей европейской лозы. Подробное знакомство с нашими сортами даст тогда возможность сделать наиболее целесообразный выбор матерьяла для прививок и сохранить для страны лучших производителей вина.

Все эти практические соображения и чисто научный интерес побудили нас попытаться по возможности изучить Закавказские сорта винограда. Задача эта оказалась не легкой. Нам приходилось разбираться в невероятной путанице названий одних и тех - же сортов, даже в пределах одного и того-же района, изучить как случайные отклонения в тип каждого сорта, зависящая от местных топографических и почвенных условий и от способов культуры лозы, так и те глубокие временные отклонения, которые возникли под влиянием криптогамических болезней, столь сильно порожавших наши

მიერ დროის განმავლობაში გამოწვეული ღრმა დროითი ცვლილებებიც, რომელთაც ბოლო 20-25 წლის მანძილზე საშინლად დააზიანეს ჩვენი ვენახები.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ორიგინალურ ზომებში დასურათებული და აღწერილი შორაპნისა და ქუთაისის მაზრების მხოლოდ 11 საღვინე ვაზის ჯიში; სამომავლოდ ჩვენ ვგეგმავთ ამ მასალის ისეთი დეტალებით შევსებას, როგორცაა ახალგაზრდა ყლორტის, პწკალის, რქის განივი ჭრილის სურათები და ა.შ. აგრეთვე, იგეგმება მევენახეებისათვის სხვა გავრცელებული ჯიშების გაცნობა, და ბოლოს – მათი გავრცელების დეტალური რუკის და ყურძნის წვენისა და ღვინის შეფასებისათვის საჭირო ანალიტიკური ცხრილის მოცემაც. ბოლო ამოცანა მოითხოვს 2-3 წლიან დაკვირვებებს, რომელსაც უკვე 1890 წლიდან წარმოებს ჩვენს მიერ.

დასასრულს, თავს მოვალედ ვთვლი მადლობა გადავუხადო იმ პირებს, ვინც მეხმარებოდნენ ამ გამოცემის მომზადებაში, კერძოდ კი ი. ა. სტაროსელსკის, ს. ნ. ტიმოფეევს და ს. ა. სააკოვს.

ვ. სტაროსელსკი
ტიფლისი
5-დეკემბერი 1892 წ.

виноградники в течение последних 20-25 лет.

В настоящем труде срисованы в натуральную величину и описаны только 11-ть винных сортов Шорапанского и Кутаисского уездов; впоследствии мы имеем в виду пополнит этот материал некоторыми деталями, как-то: рисунками молодых побегов, усиков, продольных разрезов ветвей и пр., а также ознакомить виноградарей с другими распространенными сортами винограда и наконец, дать подробную карту их распространения и таблицу аналитических данных для оценки достоинства сока и вина из каждого сорта. Последняя задача требует еще 2-3 -х лет наблюдений, которое производится нами с 1890 года.

В заключение считаю своим долгом выразить глубокую благодарность лицам, помогавшим мне при составлении этого выпуска – Ю. А. Старосельскому, С. Н. Тимофееву и С. А. Саакову.

В. Старосельский.
Тифлисъ
5-го Декабря 1892 г.

ადანასური

სინონიმი - **მაღლარი.**

ვაზი ძლიერი ზრდისაა. შტამბი მსხვილია. ძველი ქერქი მუქი - რუხი, ახალგაზრდა კი რუხი - ნაცრისფერია იმავე ფერის განივი ზოლებით.

რქები მრავალწახნაგოვანია, ძალიან გრძელია, 4-5 საჟენამდე სიგრძის და 2,5 სანტიმეტრამდე დიამეტრით ფუძეში.

ყლორტები რუხი - მწვანე, მოგვიანებით კი მუქი - ვარდისფერია წვრილი, ხშირი განივი ზოლებით და ალაგ-ალაგ კი წვრილი რუხი ქერცლით. მერქანი საშუალო სიმკვრივისა, მკვეთრად გამოხატული სხივებით. გულგული ფხვიერია, მისი დიამეტრიც რქის დიამეტრის 0,5-ის ტოლია. მუხლები ძალიან დაბერილია, მოწითალო ფერისა ლაქებით. მუხლთაშორისები გრძელია. მუხლებში ტიხრები ოვალურია.

კვირტები დიდია, რუხი - წითელი, თითქმის სფეროსებური. ახალგაზრდა ფოთოლაკები სხვადასხვა ფორმისაა: ნაწილი ხუნთნაკვთიანია ღრმა ქინძისთავისმაგვარი ნაკვეთებით, რომელიც აღწევს ფოთლის ფირფიტის ორ მესამედამდე, ნაწილი კი სუსტად

ადანასური

Синоним - **маглари.**

Куст сильно растущий. Ствол толстый. Старая кора темно-бурая; молодая - серо-бурая, с продольными рубчиками того же цвета.

Ветви многогранные, очень длинные, до 4-х сажень и до 2,5 сантиметров в диаметре у основания.

Побеги буровато-зеленные, позднее розовато-бурые, покрыты густо мелкими продольными рубчиками и кое - где маленькими бурыми чечевиками. Древесина средней плотности, с резко выраженными лучами. Сердцевина рыхлая. Диаметр её равен 0,5 диаметра ветви. Узлы сильно вздутые, с красноватым оттенком. Междоузлия длинные. Перегоротки в узлах овальные.

Почки большие, буро - красные, почты шарообразные. Молодые листочки различной формы: одни из них пятилопастные, с глубокими булавовидными выемками, достигающими до двух третей листовой пластинки; другие - с слабо выраженными лопастя-



Аданасури.

გამოკვეთილი ნაკვეთებით ან დაუნაკვეთავია. ფირფიტის კიდეები დაკბილულია საშუალო ზომის კონუსური კბილებით. ფირფიტის ქვედა მხარე დაფარულია ხშირი, ხოლო ზედა მხარე კი - იშვიათი მონაცრისფრო ბუსუსით.

ფოთლები მრგვალია, 20 სმ დიამეტრის, ხუთნაკვეთიანია, ღრმა ნაკვეთებით. გარდა დანაკვეთულისა, იშვიათად გვხდება დაუნაკვეთავი ფოთლებიც. ფოთლის პარენქიმა ფაშარია, სქელი და მუქი - მწვანე ფერის. ძარღვები ღია - მწვანეა, საშუალო სიმსხოსი. კიდეები დაკბილულია; კბილები დიდა და კონუსური. ყუნწისა და კიდის ამონაკვეთები ღიაა, ხოლო ზედა ამონაკვეთები, ჩვეულებრივ, დახურულია. ფოთლის ფირფიტის ზედაპირი ოდნავ დანაოჭებულია და მუქი - მწვანე ფერისაა; ქვედა მხარე შებუსებულია და მოვერცხლისფრო - მომწვანოა. ყუნწი ძალიან გრძელია 15 - 17 სმ, გვერდებიდან შეჭყლეტილი, მომწვანო, მოწითალო შეფერვით.

პწკალები გრძელია, წვრილი, ჩანგლისებურად დატოტვილი და ვარდისფერი.

მტევნები პატარა და მეჩხერია, ან პირიქით, დიდი და კუმსი გამოდინარე ვაზის ფორმირების სისტემიდან და მოვლის პირობებიდან. (სურ. 1-ზე ნაჩვენებია მა-

მი или цельные. Края пластинок зубчатые; зубцы конические, средней величины. Листовая пластинка одета с нижней стороны густым, а с верхней - редким сероватым пухом.

